საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/277 „ 3 " დეკემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/88 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება პეკინის ქ. №29-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ფართის მესაკუთრე ზაურ ქილიფთართან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მითითებული ფართის იჯარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მეიჯარესთან გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სახელშეკრულებო ღირებულებით 595 ლარი.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი